

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 20

ქ.თბილისი

2020 წლის 16 დეკემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 16 დეკემბერს. სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის ვიდეო მსაჯის ს. აბულაშვილის საითინგი, ვიდეომსალა, გამოკითხა თბ“ლოკომოტივი“-ს მორაგბე აკაკი მარშანია და თბ “აკადემია“-ს მორაგბე გიორგი ილურიძე, ამა წლის 13 დეკემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ “აკადემია“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. თბ „აკადემია“-ს მორაგბე გიორგი ილურიძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.8 პუნქტით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „აკადემია“-ს მორაგბე გიორგი ილურიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 16 იანვრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „აკადემია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/